მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების

აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 09

2019წ. "15" 11

ქ. თბილისი

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის" პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" მე-8 მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი უკუკავშირის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ მათგანთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება:

2.1. 2019 წლის 23 სექტემბერს სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №719 (ცენტრში რეგისტრაციის №1246726; №1252766) სააკრედიტაციო განაცხადი ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის" პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 01 ოქტომბრის №913 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ოქტომბრის №956 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 22 ოქტომბერს განახორციელა სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტში სააკრედიტაციო ვიზიტი, ხოლო 2019 წლის 07 ნოემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასებულ იქნა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. პროგრამის შინაარსი		√	
2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები		√	

2.3. საბჭომ შეისწავლა პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირი.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 15 ნოემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის ზეპირი მოსმენის საფუძველზე, საბჭომ საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და შემდეგი რეკომენდაციები:

ა) მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის გამოქვეყნება იმგვარად უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული პირისათვის ინფორმაცია ნებისმიერ დროს ადვილად ხელმისაწვდომი და მოძიებადი იყოს;

ბ) მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი დაექვემდებაროს ერთიან სტანდარტს და გამოირიცხოს სხვადასხვა მეთოდებითა და სასწავლო პროგრამის შინაარსით ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისთვის;

გ) მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამაში თითოეული საკითხის სწავლების მეთოდი მიეთითოს;

დ) პრაქტიკული სავარჯიშოების შემუშავებისა და ინსტიტუტთან შეთანხმების შემდეგ, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის გეგმაში მიეთითოს პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი დროის ჯამური ოდენობის შესახებ კორექტირებული მონაცემები და აისახოს სილაბუსებში;

ე) მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა განსაზღვროს პროგრამის განხორციელებისას სასწავლო მასალის მიწოდების ერთიანი სტანდარტი;

ვ) მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის გეგმაში თითოეულ საკითხთან მიმართებით მიეთითოს სწავლების მეთოდი;

ზ) მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგის შეფასების ფორმა შეიცვალოს შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით, რათა უკუკავშირის ფორმაში შეფასების თითოეული კომპონენტი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი;

თ) მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სასწავლო პროგრამის სამუშაო საათებში შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად;

ი) მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგის შეფასების ფორმა შეიცვალოს შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით, რათა შეფასების ფორმაში ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით უკუკავშირი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი.

3. სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის

დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის 2019 წლის 23 სექტემბერის №719 (ცენტრში რეგისტრაციის №1246726; №1252766) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის №02 სხდომის ოქმის №3 ნაწილი (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის გამოქვეყნება იმგვარად უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული პირისათვის ინფორმაცია ნებისმიერ დროს ადვილად ხელმისაწვდომი და მოძიებადი იყოს;

ბ) მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი დაექვემდებაროს ერთიან სტანდარტს და გამოირიცხოს სხვადასხვა მეთოდებითა და სასწავლო პროგრამის შინაარსით ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისთვის;

გ) მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამაში თითოეული საკითხის სწავლების მეთოდი მიეთითოს;

დ) პრაქტიკული სავარჯიშოების შემუშავებისა და ინსტიტუტთან შეთანხმების შემდეგ, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის გეგმაში მიეთითოს პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი დროის ჯამური ოდენობის შესახებ კორექტირებული მონაცემები და აისახოს სილაბუსებში;

ე) მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა განსაზღვროს პროგრამის განხორციელებისას სასწავლო მასალის მიწოდების ერთიანი სტანდარტი;

ვ) მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის გეგმაში თითოეულ საკითხთან მიმართებით მიეთითოს სწავლების მეთოდი;

ზ) მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგის შეფასების ფორმა შეიცვალოს შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით, რათა უკუკავშირის ფორმაში შეფასების თითოეული კომპონენტი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი;

თ) მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სასწავლო პროგრამის სამუშაო საათებში შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად;

ი) მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგის შეფასების ფორმა შეიცვალოს შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით, რათა შეფასების ფორმაში ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით უკუკავშირი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 3 თვე (22.02.2020).
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2019 წლის 22 ნოემბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებგვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე
ნანა ჭიღლაძე

სხდომის მდივანი
თეიმურაზ ჩიხრაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შესახებ	
1	პროგრამის დასახელება	პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი
2	სტატუსი	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	—
4	სწავლების მეთოდი / ფორმა	საკლასო მეცადინეობა
5	საათების რაოდენობა	24 საათი
6	განხორციელების ადგილი	ქეთევან წამებულის გამზირი №96, 0144, თბილისი, საქართველო
7	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	22.11.2019
8	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	3 თვე (22.02.2020)
9	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	22.11.2024